გაზეთის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 251 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 251

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



## გაზეთი „ივერია“

1-ლ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს 2 მან. 75 კაპ. სოფლის მასწავლებელთა და ხელოსანთათვის,—1 მან. 50 კაპ.

დოქტორი მედიცინისა

**გ. ა. ახვერდოვი**

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20. (30—25).

ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 4.

**სახაზინო თეატრი**

ოთხშაბათს, 3 ნოემბერს 1904 წ.

ქართული დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება თავ. ალექსენდრე სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

**ღალატი** დრამა ლეგენდა 5 მოქმ. თარმ. გრ. ყიფშიძისა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

**მთავარ როლებს შეასრულებენ:** ნ. ჩხეიძე—ზეინაბი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა—ისახარ, ტასო აბაშიძე—გაიანე, ა. კარგარეთელი—რუქაია, ვ. აბაშიძე—ბესო, ვ. გუნია—ოთარ-ბეგ, ივანიძე—საბა ბერი, კ. ყიფიანი—ანანია გლახა, სვიმონიძე—დათო, ჩარკვიანი—ირაკლი, სოლეიმან ხანი—შალიკაშვილო და სხვა

მორიგი რეჟისორი ვალ. გუნია.

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

**კალენდარი (სათვეო)**

**„ცოდნა“**

**მიჰმართონ სოსიკო მერკვილაძეს.**

✦ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ✦

ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა **ექვს-ექვს კაპეიკად.**

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ. Книжный магазинъ „ЦОДНА“. (10—3).


### ტფილისის სათავად-აზნაურო საკრებულო

შეუდგა ტფილისის გუბერნიის თავადთა და აზნაურთა გვარების საშთამომავლო წიგნების შედგენას. ამ ჟამად უკვე შედგენილია ქვემოდ ჩამოთვლილ გვარების შტონი: თავადთა აბაშიძეთა, აბხაზთა, აბამელიქოვთა, ავალოვთა, ამატუნოვთა, ამილახორთა, არღუთინსკი-დოლგორუკოვთა, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონთა, ბაგრატიონ-დავითიშვილთა, ბარათაშვილთა, ბებუთოვთა, ბეგთაბეგოვთა, ვახვახოვთა, ვეზიროვთა, გურამოვთა, ჯანდიერთა, ჯორჯაძეთა, ლიონიძეთა, მაღალოვთა, მელიქიშვილთა და მაჩაბელთა.

იმ პირთ, რომელნიც ეკუთვნიან ამ გვარებს და რომელთაც სურთ შეამოწმონ სინამდვილე და სისრულე საგვარეულო სიაში მოთავსებულ ცნობათა, სთხოვენ მიჰმართონ დეპუტატთა საკრებულოს (სოლოლაკის ქუჩა, № 10) შაბათობით 11—12 საათამდე.—

ამასთან ერთად საკრებულოს აზრად აქვს შეადგინოს, მცოდნე პირთა დახმარებით, ისტორია თავად-აზნაურთა გვარებისა.

ამის გამო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი სთხოვს იმ პირთ, ვისაც მოეპოვება გუჯრები, სიგელები, წყალობის ქაღალდები და ძველი წერილები, მოგონებანი და სხვ. გადასცენ დეპუტატთა საკრებულოს, რომელიც თავის დროზე უკანვე დაუბრუნებს პატრონთ უკლებლივ.

დოკუმანტების წარმომადგენელთ მიეცემათ საკრებულოს მდივნის მიერ კვიტანცია-დოკუმენტების მიღებისა; თვითონ დოკუმენტები-კი დაცული იქმნება განსაკუთრებულ, ცეცხლის მხრივ უვნებელ ყუთში. (5—2)


ტფილისის სახაზინო თეატრი.

ოთხშაბათს, 3 ნოემბერს,

გაიმართება ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის-მიერ ქართული წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქმნება

**ღ ა ლ ა ტ ი**

დრამა 5 მოქმ., ალ. სუმბათაშვილისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

ხუთშაბათს, 4 ნოემბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება

**ნ ე რ ო ნ ი**

მუსიკა რუბინშტეინისა.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

პარასკევს, 5 ნოემბერს,

მე-2 სავაჟო გიმნაზიის მე-8 კლასის შეუძლებელ მოწაფეთა სასარგებლოდ,

წარმოდგენილი იქმნება

**პიკოვაია დამა**

მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **«ფენელლი»**, ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ობერისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ო. კელდერი.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ სადამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაწაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დორისმელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და სადამოთი 6—8-დე.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ძ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 7 საათ.

**ს. ტ. არჩვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ძ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.


## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

—

**როდემდის გაუძლებს ომს იაპონიის ხაზინა?** ამ კითხვას იძლევა გაზეთი «ნოვოე ვრემია» და ამბობს, რომ აგერ ცხრა თვე შესრულდა მას აქეთ, რაც გვეომება იაპონია. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ თითქმის გავათავეთ რუსეთ-ოსმალეთის ომი, სულ რამდენიმე დღეღა გვაკლდა იარაღის დაყრამდე. უნდა გავიხსენოთ, რომ ეს ომი მაშინ დაგვიჯდა ჩვენ ფულათ სწორეთ ათასი მილიონი მანეთი. გარემოებანი, რომელშიაც გვებრძვის დღეს იაპონია მანჯურიაში, ბევრით არ განირჩევა იმ გარემოებიდან, რომელშიაც ჩვენ ვიბრძოდით 1877—1878 წლებს. თუ მივიღებთ ამას მხედველობაში და არ დავივიწყებთ, რომ ეხლანდელ ომს უფრო მომეტებული იარაღი და სამხედრო მასალა სჭირდება, თითქმის შეუცდომელად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ამ ცხრა თვემ მოიხმარა თითქმის ათასი მილიონი მანეთი იაპონიის ხაზინიდან. საიდან-ღა უნდა იშოვნოს ფული, რომ გინდ ერთ წლამდე კიდევ განაგრძოს ომი?.. სათადარიგო თანხა აღარ მოეპოვება მისს სახელმწიფო ბანკს; ხალხი ისედაც გაღარიბდა ხვნა-თესვის შემცირებით, რომელიც ომმა გამოიწვია, ქარხნების შეყენებით და სხვანი. სხვაც რომ არა იყოს-რა, მარტო სიღარიბე მოსწყვეტს წელს მისს სამხედრო ძლიერებას. ამ სახით, ეხლა საინტერესოა ჩვენთვის ველოდოთ, თუ რა ღონეს იღონებს ჩვენი მტერი შეძლების მოსაპოვებლადაო.

არა ნაკლებ საინტერესო იქმნებოდა შეგვეტყო, ჩვენ რამდენი-ღა დაგვიჯდა ომის გაძღოლა ამავე დროს განმავლობაში, თუ იაპონიას მოუნდა ათასი მილიონი მანეთი. სამწუხაროდ, გაზეთი ამაზედ არაფერს ამბობს. (ნოვ. ვრ.).

—

**სამახსოვრო დღენი დაღესტნის 2-რე ცხენოსან პოლკისათვის.** მანჯურიაში მყოფ მებრძოლ ჯარის კაცთა შორის არა უკანასკნელი ადგილი ეკუთვნის დაღესტნის მამაც შვილთაგან შემდგარს ცხენოსანს პოლკს, რომელიც თერგისა და ყუბანის პოლკებთან ერთად მთელს ეგრედ წოდებ-ულს კავკასიის ბრიგადას შეადგენს და რომელსაც უფროსობს ჩვენში კარგად ცნობილი თავ. გიორგი ილიას ძე ორბელიანი. კავკასიის ბრიგადა ბრძოლის ველზე მივიდა ივლისის შუა რიცხვებში და მაშინვე მიიღო მონაწილეობა ომში. თერგისა და ყუბანის ჯარის კაცნი ლიაოიანთან იბრძოდნენ, დაღესტნელნი—ბენსიხუს ახლოს, მდინარე ტაიძიხეს გაყოლებით. ამ უკანასკნელთა რაზმს შეადგენდნენ მთიულთა საუკეთესო შვილები: დალინელები, ანდიელები, კაზიკუმუხელები და ოდესღაც მრისხანე შამილის თანამემამულენი ავარელები; ბევრს მათგანს არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა წარსულ ომში დ გასაოცარ მამაცობისათვის კიდევაც დაუჯილდოვებიათ სამხედრო ორდენებით. ამ რაზმში არიან აგრედვე რამდენიმე მოხუცნი, რომელნიც, მიუხედავად თავიანთის ხნოვანებისა, ყმაწვილს მოგაგონებენ. მთელი პოლკი სამ ნაწილად არის გაყოფილი, რომელთა უფროსობასაც ეწევიან თავ. თუმანიშვილი, გრაფი შუვალოვი და ფონ-ბიუტინგი, ხოლო პოლკის კომანდირად ითვლება ჰუსეინ-ხან ნახიჩევანსკი. ეხლა შევუდგეთ 18 და 19 ოკდომბერს მომხდარ ღირს-შესანიშნავ ამბავთა აღწერას. აგვისტოს პირველ რიცხვებში მთავარ ბანაკიდან მოწერილობა მოვიდა, რომლითაც მდინარე ტაიძიხეს ნაპირთა დაცვა და აგრედვე დაზვერა ჰუსეინ-ხანს უნდა მიეღო თავის თავზე. 20 დღის განმავლობაში თითქმის 20 ვერსის მანძილზე დაღესტნელნი დაუღალავადასრულებდნენ თავიანთს დანიშნულებას. არა ერთხელ გაუცურავთ ადიდებულ მდინარის მეორე ნაპირზე და ერთხელ კიდევაც ააფეთქეს პიროქსილინით იაპონელთა 250 ნავი. 13 აგვისტოს დაღესტნელნი გაემართნენ მდინარე შახესაკენ, დაზვერეს ახლო-მახლო ადგილები, შემდეგ გავიდნენ მეორე ნაპირას და აქ აღმოაჩინეს მტრის კარგა ბლომა ჯარი. ამის შემდეგ ისინი კვლავ უკან დაბრუნდნენ. დადგა 18 აგვისტოს სახსოვარი დღე. პოლკის უფროსს მოუვიდა ფონ-ბიუტინგისაგან ბრძანება, რომ ჩემის ორის როტის წინაამდეგ იაპონელები იწყებენ მოქმედებას და მდინარის მეორე ნაპირისაკენ იწყეს გადმოსვლაო. შესაფერი ღონიეძიებანი იმ წამსვე მიიღეს, მაგრამ იაპონელთა გამანადგურებელ ცეცხლს დიდხანს ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა და დაღესტნელნი იძულებულნი გახდნენ სროლით ნელ-ნელა უკან დაეწიათ. ამავე დროს მებაირაღეს ჰაჯი-მურადს ამბავი მოუვიდა, იაპონელნი წინ წამოვიდნენ და გზის მოჭრას გიპირობენო. ხიფათის ასაცდენად, ჰაჯი-მურადი იძულებული იყო მტრის მოწინავე ჯარის გასწვრივ წამოსულიყო და უღრან ტყით ევლო, ვიდრე ხაბუყაოს მიაღწევდა. აი, სწორედ აქ მოსტყუვდნენ იაპონელები: მათ ეგონათ, რომ ეს რაზმი მხოლოდ ერთ-ერთს რაზმს შეადგენს და ასეთს მოძრაობას უეჭველად თან მოჰყვება დანარჩენის ნაწილების მოძრაობაო და სრულიად უვნებლად გაუშვეს ისინი. მალე დარწმუნდნენ თავიანთ შეცდომაში, მაგრამ გვიანღა იყო; მურადმა მოასწრო გაქცევა და თავის დაცვა. იმავე დღეს იაპონელთა ესკადრონი და ორი ათასი ჯარის კაცი გადმოვიდა ტაიძიხეს მეორე ნაპირას. 19 აგვისტოს დაღესტნის პოლკი იანტაის გზით გაემართა მეანკაულინის უღელტეხილისაკენ. აქ კი მათი წინსვლა დროებით შეჩერებულ იქმნა, რადგანაც მტერი უმოწყალოდ უშენდა ტყვიას. სხვა გზა არ იყო, ხეობით უნდა ესარგებლნათ, მაგრამ მტერი აქაც არ ეშვებოდა მათ და გამალებით სწყვეტდა ცხენოსან ჯარის კაცთ. მაგრამ აი, განვლეს ხეობა, დაღესტნელთ ღონისძიება მიეცათ მთის ფერთდობზე გაშლილიყვნენ და თოფებითა და ტყვის მტყორცნელებით ასტეხეს საშინელი სროლა. მტერმა ვერ შესძლო დიდხანს წინააღმდეგობა გაეწია და არევ-დარევით დაიწია უკან. ასეთი გამარჯვება სავსებით მიეწერება, დაღესტნელთა შეუდარებელს მამაცობას, ფხიანობას და საარაკო გმირობას. მთავარ-სარდლის განკარგულება მათ ჩინებულად შეასრულეს: არ მისცეს მტერს შეძლება წინ წაწეულიყვნენ და სავსებით გადმოსულიყვნენ ტაიძიხეს მეორე ნაპირს, რომლის გასწვრივაც რუსის ჯარი იმყოფებოდა. ამ ორის დღის ბრძოლას თვით დაღესტნელებმა უწოდეს: «ცერემონიალური მარში დაღესტნის პოლკისა». (ნვრ. ვრ.).

—

**წვრილი ამბები.** სეულიდან აუწყებენ «ნ. იორკ ჰერალდს», რომ იაპონელნი ინჟინერნი, თუმცა ბევრს ეცადნენ, მაგრამ დაძირული «ვარიაგი» ვერ ამოიტანეს მაღლაო. ექვსის თვის ამაგმა ინჟინერებს ფუჭად ჩაუარაო. (რუსი).

—

რიგიდან იგზავნება ამ თვეში მახჯურიას მრავლად ნავები სახელდახელო ხიდების გასაკეთებლად, რადგან გაზაფხულზე იქ მდინარეებმა ადიდება იცის და წყლებში გასვლა-გამოსვლა უხიდებოდ გაძნელდება.

## ახალი ამბავი

—

**მეოთხე ქართული წარმოდგენა «ღალატი».** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 3 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთაგან სახაზინო თეატრში წარმოდგენილი იქმნება თავ. ალექს. ივ. სუმბათაშვილის ცნობილი დრამა-ლეგენდა «ღალატი», თარგმანი გრიგ. ყიფშიძისა. ზეინაბის როლს პირველად ტფილისში შეასრულებს ქ-ნი ნინო ჰ. ჩხეიძე.

*** **კიდევ მარჯორი ვორდროპის წერილი.** ბ-ნს ი. იმედაშვილს შემდეგი წერილი მოუვიდა პეტერბურგიდგან ქ-ნ მარჯორი ვორდროპისაგან:

„გთხოვთ მიგზავნოთ (съ наложен. платеж.“) «უცხო სიტყვათა ლექსიკონი» და კატალოგიც ახალი ქართული წიგნებისა შემდეგი ადრესით: (სწერია ადრესი). 19

მღვინობისთვე 1904 წ.» ბ-ნ იმედაშვილს მაშინვე გაუგზავნია ხსენებული წიგნი და ამის გამო შემდეგ სამადლობელ წერილსა სწერს პატივცემული მარჯორი ვორდროპის ასული:

«მოწყალეო ხელმწიფევ, ბოდიშს ვიხდი, რომ სხვა და სხვა მიზეზთა გამო აქამდის ვერ მოგწერეთ წერილს. მივიღე თქვენი ფრიად საყურადღებო თხზულება და გულითადი მადლობას მოგახსენებთ თქვენი საჩუქარისთვის. ქართული წიგნი ყოველთვის მივიღე სიამოვნით და უმეტესათ როდესაც მწერალი კეთილ ინებებს ხელის მოწერა. კიდევ მადლობას მოგახსენებთ. თქვენი პატივისმცემელი მარჯორი უორდროპის ასული».

⁂ **სამშობლოში დაბრუნების ნებართვა.** კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა, 11 აგვისტოს გამოცემულ უმაღლეს მანიფესტის თანახმად, რაჭის მაზრის სოფ. ტბეთის მცხოვრებს სპირიდონ მათეს ძეს ჩოხონელიძეს, რომელსაც კავკასიაში ცხოვრება აღკრძალული ჰქონდა.

⁂ **თავდასხმა და დაჭრა.** სოფ. მოედნიდგან (ქუთ. მაზრა) შემდეგს გვწერენ: «24 ოკდომბრს, ნაშუაღამეევს, 9 შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველნი თავს დაესხნენ გლეხის გეგენავას სახლს, წაიღეს 15 მანეთამდე ფულად და დასჩეხეს ხუთი სული, დიდი და პატარა; არ დაუზოგავთ არც ქალი და ბავშვებიც-კი; მესამე დღესვე მოვიდა ბოქაული, ექიმი და გამომძიებელი. ბოროტების ჩამდენნი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. გამოძიება სწარმოებს. დაჭრილნი ქუთაისის საავამყოფოში გაჰგზავნეს».

⁂ **ჯარში ახლად გაწვეულთა დათვალიერება.** 1-ლ ნოემბერს ტფ. სამხედრო ბეგრის საკრებულოში დაათვალიერეს ჯარში ახლად გაწვეულნი ყმაწვილ-კაცნი. ბევრნი არ გამოცხადდნენ. საკრებულომ 70-მდე თხოვნა მიიღო ახლად კენჭ ნარგებ ყმაწვილ-კაცთა, რომელნიც უმაყოფილებას აცხადებენ ექიმების შემოწმებაზედ. საჭირო რიცხვს კიდევ აკლია 28 კაცი. მაჰმადიანები ჯერ არ დაუთვალიერებიათ, რადგანაც მოლლა არ გამოცხადდა.

⁂ **ბავშვთათვის მზრუნველმა საზოგადოებამ** მიჰმართა ტფ. ქალაქის გამგეობას თხოვნით, წელსაც შეიტანეთ 1905 წლის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში 500 მან., რომელსაც ქალაქი აძლევდა საზოგადოებას შემწეობად და 300 მან. საზოგადოების ავლაბრის სკოლის შესანახად, როგორც წინა წლებში იყოო.

⁂ **ქარცვა-გლეჯა სოხუმში.** ამ დღეებში სოხუმში გაუტეხიათ ტ. მ. გაბუნიას მაღაზია და ცეცხლ-უკარებელ რკინის კასიდგან წაუღიათ 6,500 მან.; 23 ოკდომბერს, ღამე, როდესაც წვიმა მოდიოდა და ქუჩის დარაჯებსაც «არ ეცალათ» თურმე, გაუტეხიათ ძმათა შენგელიების საბაკალეო მაღაზია და წაუღიათ 60 მან. ღირებული ნივთები და ისე ყოჩაღად დამალულან, რომ თქვენი მოწონებული!..

⁂ **სამღვდელოების შუამდგომლობა.** მართლმადიდებელთა სასულიერო უწყებას შუამდგომლობა აღუძრავს, სადაც ჯერ არს, რომ უფასოდ დაგვეთმოს 600 ფუთი თითბერი საარტილერიო საწყობებიდგან ზარების ჩამოსასხმელად სემინარიის მომავალ ეკლესიისათვის, რომელიც ახლად შენდებაო.

⁂ **ამიროვის სტიპენდია.** მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის რექტორმა აცნობა ტფ. ქალაქის გამგეობას, რომ ამ უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზედ განთავისუფლდა ამიროვის სახელობის ერთი სტიპენდიაო. ამ თავისუფალ ადგილზედ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უნდა დანიშნოს კანდიდატი. ქალაქის გამგეობამ უკვე მიიღო რამდენისამე კაცისაგან თხოვნა ამ სტიპენდიის მიღებით თაობაზედ.

⁂ **ომში მოკლული.** როგორც გაზ. «რუსსკოე სლოვოს» ატყობინებენ, პორტ-არტურში ამ დღეებში მოუკლავთ კაპიტანი კვიხინაძე.

⁂ **ექსარხოსის განკარგულებით,** თიანეთის მაზრის სამრევლო სკოლის ზედამხედველად დაინიშნა ბლ. მღვდელი გრიგოლ ჯინჭველაძე.

⁂ **საგუბერნიო ციხეში** 1-ლ ნოემბრისათვის ყოფილა 345 პატიმარი, ამათგან 332 კაცი და 13 ქალი; მეტეხის ციხეში ყოფილა 309 პატიმარი, ამათგან მხოლოდ ერთი იყო ქალი; სულ ორსავე ციხეში ყოფილა 654 პატიმარი.

⁂ **სინოდის განკარგულებით** გურია-სამეგრელოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ფოთის საკათედრო ტაძრის დეკანოზი მ. ტარასი ივანიცკი.

## ქალაქის საბჭო.

ორშაბათს, 1 ნოემბერს, კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს. განხილულ საქმეთა შორის საყურადღებო იყო მოხსენება გამგეობისა ტრამვაის ახალ გზების შესახებ. ამ ექვსის წლის წინად სამთო ინჟენერმა ბასტამოვმა სთხოვა ქალაქს, ნება მომეცით ახალი გზები გავიყვანოო: ერთი ნაძალადევისაკენ და მეორეც კუკიიდან პრავიანტის ქუჩაზე ავლაბარში და იქიდან ნავთლუღის სადგურამდეო. რადგან უმთავრესი უფლება ახალ გზების გაყვანისა ეკუთვნის ბელგიის საზოგადოებას, ამიტომ ქალაქი შეეკითხა მას, უნდა თუ არა ამ გზების გაყვანა. ბელგიის უსახელო საზოგადოებამ პირდაპირის პასუხის მაგიერ ექვსის თვის შემდეგ მოსწერა ქალაქს, რომ ეგ ახალი ლიანდაგები ვერ არის სახეირხოდ განზრახულიო, და თვითონ სხვა მიმართულება მისცა. გარდა ამისა, ჰკითხავდა გამგეობას, ვისის ხარჯით უნდა გამოვისყიდოთ ის მამულები, რომელიც გზებს მოჰყვება და რომელიც კერძო კაცებს ეკუთვნისო. გამგეობა იმ აზრისა იყო, რომ საბჭოს აერჩია განსაკუთრებული კომისია და ამის შემწეობით გამოერკვია, რომელი მიმართულება გზისა უფრო უპრიანია, და აგრეთვე სხვა კითხვები დაედგინა, რომ საბოლოო პასუხი მიეცა საზოგადოებისათვის. ხოლო საბჭომ არ შეიწყნარა გამგეობის წინადადება. ერთ კათხვაზედ რომ პასუხი გავცეთ საზოგადოებას, ექვსის თვის უკან ახლა სხვა კითხვას დაგვიყენებს და ასე იმოქმედებს იმ დრომდე, ვიდრე სულ ყველა მსურველებს არ მოიშორებთ თავიდან და უახალგზებოდ დასტოვებს ქალაქსაო. ამის გამო საბჭომ დაადგინა: პასუხი საზოგადოებისა ჰნიშნავს უარს, რომ მას არ უნდა ახალ გზების გაყვანა იკისროს და, მაშასადამე, დავეკითხოთ მეორე კონცესიონერს, ავჭალის ქუჩის ტრამვაისას. თუ ესეც უარს იტყვის, მაშინ საქმე დაჰრჩება ინჟენერ ბასტამოვს.

დიდი ბაასი გამოიწვია საბჭოში მოხსენებამ შესახებ რკინის-გზის მმართველობის თხოვნისა იმაზედ, რომ ნება მიეცეს ნავთის გასაყვან მილების ჩაწყობისა ქალაქის მიწებზედ. მმართველობა სწერს ქალაქის გამგეობას, რომ, თანახმად უმაღლესის ბრძანებისა, რომელიც გამოიცა 1901 წ., ჩვენ უნდა გავიყვანოთ მილი ავლაბრის მამულებზედ და ნუ დაგვიშლითო. გამგეობამ მისცა ამის ნება, ხოლო მიწების მომვლელ კომისიის თავმჯდომარემ ხმოსანმა ს. ზ. მირზოევმა დაუმტკიცა გამგეობას, რომ მარტო საბჭოს შეუძლიან დართოს ნება ქალაქის მიწების დაჭერისაო. საბჭოში ამავე ხმოსანმა გამოარკვია, რომ თურმე, ხსენებულის ბრძანების ძალით, ქალაქს მიუცია რკინის გზისათვის მიწა ამ ორის წლის წინად, მიუზომია კიდეც და მიჯნებიც ჩაუყრია. ეხლა რკინის გზას განუზრახავს, იმავე ბძანების ძალით, მეორე ადგილის დაჭერაც. საბჭომ დაადგინა: ნება მიეცეს რკინის გზას მილების ჩაწყობისა ქალაქის მიწებზედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი გადაიხდის წლიურ იჯარას საჟენზედ ორ მანეთს და მისცემს ქალაქს საიჯარო ხელშეკრულობას. წინაამდეგ შემთხვევაში, აეკრძალოს მას მუშაობის გაგრძელება.

საყურადღებო იყო აგრეთვე შემდეგი ამბავი. წარსულ კრებაზედ ხმოსანმა სოსინმა გამოაცხადა, რომ გამგეობის ტეხნიკოსს ბ-ნ ოგანჯანოვს წაუღია ქალაქის ქვაფენილთა სატკეპნი მაშინა თავის ქარხანაში და იქ საკუთარს გზასა სტკეპნის, ქალაქის ქუჩები კი უტკეპნელი რჩებაო, მაგალითად, ანდრეევის ქუჩაო. ხმოსანმა ხუდადოვმა მადლობა გამოუცხადა ამისთანა ბოროტ-მოქმედების გამოქვეყნებისათვის ბ-ნს სოსინს. უკანასკნელ კრებაზედ კი გამოირკვა, რომ ეს მაშინა წაუღიათ ქარხანაში შესაკეთებლად და მერე უტკეპნიათ არა ბ-ნ ოგანჯანოვის ქუჩა, არამედ ქალაქის ქუჩა. ამის გამო თავმჯდომარემ საბჭოსამ თ-დმა ჩერქეზიშვილმა მოსთხოვა ბ-ნ ხუდადოვს უკან წაეღო უსაფუძვლო სიტყვა «ბოროტ-მოქმედება» შესახებ უდანაშაულო მოხელისა. ხმოსანმა ბევრი იყოყმანა, მაგრამ როდესაც ნახა, რომ თავმჯდომარე აღარ ეხუმრებოდა, ეს სიტყვა კი უკან წაიღო, მხოლოდ გამოაცხადა, რომ მაინც ოგანჯანოვის საქციელს ვერა ვცნობ მართლიერათაო.

# საქართველო

**ფოთი.** ცოცხალ საქონლით ვაჭრობა. ლიალინის ქუჩაზედ, სასტუმრო «კოლხიდას» აღმოსავლეთით, რამდენისამე ნაბიჯის მანძილზედ, ქალაქის შუა გულში, არის ერთი უბრალო ქოხი, სადაც ბინადრობს ერთი მანჭაკალი დედაკაცი №-სა, რომელიც ინახავს ცუდის ყოფა-ქცევის ქალებს და ისეთ ოინებს ჩადის, რომ შეიძლება არც კი დაიჯეროს ვინმე, მაგრამ რას იზამთ, ასე კი არის... არა ერთხელ და ორჯელ ვყოფილვართ იმის მოწამე, რომ ამ თავხედ დედაკაცს გადმოეყაროს ბარგი თავის «საქონელ» ქალისთვის შუა ქუჩაში, ხშირად ეცემოს კიდეც და კივილ-ჩხივილით სახლიდგან გამოეგდოს. აი, მაგალითად, ერთხელ ამ დედაკაცმა ჯოხით სცემა ერთ მასთან მყოფ ქალს, ბარგიც ქუჩაში გადმოუყარა და უყვიროდა: «წადი, მომშორდიო», ქალი კი თვალცრემლიანი უპასუხებდა: „ჩემი მომე და მოგშორდებიო“. ერთხელაც ერთ ქალს საშინლად სცემა, თმით ათრია და ამასაც იმას უმეორებდა: «წადი, მომშორდიო». ეს საბრალოც გრძნობა-დაკარგული გაფითრებული უპასუხებდა: «მომეცი, რაც მერგება, და წავალო». თურმე ნუ იტყვით, ეს დედაკაცი თავის ცოცხალ საქონლით ნავაჭრ ფულებს იბარებს და როცა რამდენიმე მანეთი მოუგროვდებათ, უშოვნის რაიმე მიზეზს, სცემს და უგროშ-უკაპეიკოდ ისტუმრებს. ხშირად ამ უკანასკნელთ პოლიციისათვისაც მიუმართავთ დახმარებისათვის, მაგრამ რაღაც გაუგებარ მიზეზების გამო უყურადღებოდ დარჩენილან. 25 ოკდომბერსაც ერთი აურ-ზაური გაიმართა ამ დედაკაცის საბინადროში, რადგან მამა ჩამოსვლოდა ამ საზიზღარ დედაკაცთან მყოფ ქალს და სახლში წასაყვანად იწვევდა, მაგრამ შვილი არ დაჰმორჩილდა, რისთვისაც მამამ ძალა დაატანა და, ცოტას გასწყდა, არ სცემეს კურო-საყვარლებმა საბრალო მოხუცს. ნუ თუ დრო არ არის, ამ დედაკაცის საქციელს და მისს აქედგან აბარგვას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს? გარდა ამისა, ამ დედაკაცთან ერთი პატარა 10—11 წლის გოგოც არის, რომელსაც შვილს ეძახის. ეს ბავშვი თუმცა სასწავლებელში დადის, მაგრამ სახლში ყოფნის დროს ხშირად მოწამეა მეძავ-ქალთა საძაგელ ყოფა-ქცევისა. ჩვენის აზრით, კარგი იქნებოდა ამ ბავშვის ზნეობრივად აღზრდასაც ჯეროვანი ყურადღება მიექცეოდეს, ვისგანაც ჯერ-არს.

ბ. ზედაშელი.

# ლექსები

**ვუძღვნი თ-დს ა. ი. სუმბათაშვილს.**

(ისტ. დრ. «ღალატის» ავტორს)

სამშობლო მხრიდგან ჩვენგან შორს მყოფსა
თაყვანის-ცემით მოგიძღვნი სალამს;
ჯვარ-ცმულის დედის წინაშე მარად
ღრმა სასოებით ვლოცავ შენს კალამს!

ტანჯულ სამშობლოს ბუნდოვან ცაზედ
გამოგვესახე, ვით ცისარტყელა...
და საამაყო შენს სახელს ჩვენში
პატივისცემით ვახსენებთ ყველა.

რა შეიგენი შენ შენი ერი,
მსწრაფლ შეუერთდი მისს გულისძგერას,
აღსავსე გრძნობით, როგორც ქართველმან,
ბანი მიეცი მისს მოთქმა-მღერას.

გულ-დაწყვეტილებს შენზედ მოძმეებს
მით დაუმე წყლულები მწარე —
და დაუმტკიცე, რომ შენ ყოველ დროს
გახსოვს და გიყვარს სამშობლო მხარე.

გვიყვარხარ.., გეტრფით მარად და მარად...
სათაყვანოა, ვით წმიდა ხატი,
ვინც ჩვენთან ძმურის კავშირის ნიშნად
შეჰქმნა უკვდავი განძი—«ღალატი»!...

ანასტასია იურკევიჩი.

# გასართობი

ქმარი.—ეს რა ჰქენი?! ჰროგორ გაბედე და აკოცე ვაროს მასწავლებელს?

ცოლი.—ნუ სჯავრობ, ჩემო სულო!. მე ეგ ზრდილობით მომივიდა.

ქმარი.—რაო-ო?

ცოლი.—პირველად ვარომ აკოცა და ხომ უზდელობაში ჩამომართმევდა, მეც რომ არ მეკოცნა.

ქმარი?!?!

—

ვექილთან. შეიძლება, რომ ქმარი ცოლს გაეყაროს სიგიჟისა გამო?

— განა თქვენი მეუღლე ჭკუაზე შემცდარია?

— არა, მაგრამ ჭკუაზედ შემცდარი მე ვიყავ, როდესაც იმაზედ ჯვარი დავიწერე...

# კავკასია

**ბაქოში დასაარსებლად განზრახულ «ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების გამო».**

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

შარშან რამდენჯერმე შემთხვევა გვქონდა გვეუწყებინა «ივერიის» მკითხველებისათვის, რომ ქ. ბაქოში და მის მაღნებზედ

# ფელეტონი

## თხზულებანი ია ეკალაძისა.

(კრიტიკული განხილვა)

შემდეგი *)

### VI

მეოთხე ჯგუფს ეკუთვნის: 1) ილიკო ბედენაძე, 2) დაუდეგარი, 3) ოდონდაც, 4) მთვარიან ღამეს, 5) თეო. ეს ჯგუფი ყველაზედ უფრო სამნიშვნელოა ბ-ნ ეკალაძის ნაწერებში. მასში ნათლად სჭვივის ავტორის სული. ეს მოთხრობანი მეტად ჰგვანან ერთმანერთს. მათში გამოყვანილი გმირები: ილიკო, ტიმოთე, გენო და ზურა თითქმის ერთი და იგივეა, მხოლოდ სხვა და სხვა სახელით, სხვა და სხვა დროსა და პირობაში.

1) „ილიკო ბედენაძე“ (ესკიზი) ყველაზედ უფრო ნაადრევია, ამიტომ უფრო სუსტი. ღარიბ მღვდლის შვილს ილიკოს ჩამოიყვანენ სოფლიდგან, შეიყვანენ ტფილისის სასულიერო სასწავლებელში და შემდეგ სემინარიაში; იგი ვერ ურიგდება სკოლის რუტინას და სიმკაცრეს; ის არავითარ სიამოვნებას არ ჰპოვებს დოგმატიურ სწავლაში და უაზრო «ზუბრობაში»; გაიპარება შინ, მაგრამ დააბრუნებენ ისევ. ბევრს სიღარიბე-გაჭირვებას გამოივლის ტფილისში ჩვენი ილიკო. ამ ყმაწვილს დაითხოვენ უფროს კლასიდან; არ აძლევენ ატესტატს და მით უსპობენ ცხოვრების სახსარს. ის დაამცირეს, უნიჭოდ ჩასთვალეს... ილიკო შეუდგა გაჭირვებასთან ბრძოლას, იშოვა კერძო გაკვეთილები, ხელი მიჰყო წიგნების კითხვას და თავის განვითარებას. მაგრამ უატესტატო ყმაწვილი, უსაქმო და მარტო წიგნების მკითხველი ბრბომ მონათლა გიჟად. ერთს მშვენიერს საღამოს ილიკო მიდის სასეირნოდ მთაწმინდისკენ. ის ჩაფლულა ფიქრებში, «ბრძოლა უკუღმართობასთან და ჭეშმარიტის სწავლის შექმნა»!... აი რას შეუპყრია ამ ყმაწვილის გული და გონება! იგი ჰმზერს აქ ერთის მხრივ მაძღარს, მხიარულად მოსეირნე ბრბოს, მეორე მხრივ კი მშიერ მათხოვართ, რომელთაც არავინ აქცევს ყურადღებას.—«დახე ამ გულქვა ადამიანს, თუ თავისი ძმა ებრალებათ! როდის, ნეტა როდის მოეღება ბოლო ამ უკუღმართობას! როდის იქმნება ყველა მაძღარი და კმაყოფილი იყოს თავის ბედისა»! ფიქრობს ილიკო. მთვარე უღიმის მიდამოს, გრილი ნიავი უალერსებს მოსეირნეთ. ისმის მაძღართა ოხუჯობა, სიცილ-კისკისი და ამ დროს აგერ გზის პირას ბრმა მთხოვარა უკრავს სალამურს, უკრავს რაღაც უცნაურ ხმას, რაშიაც თითქო ჰკრთის: —„ღმერთი არა გწამთ! პური მშია, მაჭამეთ რამე, შემიბრალეთ თქვენი სისხლი და ხორცი“... ბრბო კი ისევ გულ-გრილად კისკისებს და სალამურის ხმა არც კი ესმის.—«მეც ხომ ისეთი უმწეო, ისეთი მოძულებული ვარ, როგორც ეს გლახები! მაშ, რა გვეშველება სამს მეოთხედს კაცობრიობას»!. ეკითხება ილიკო თავის თავს.

ეჰ, ბევრი, ბევრი იძლევა ამ კითხვას, მაგრამ ამ სენის ნამდვილი წამალი ჯერ არა სჩანს...

ვინაა ილიკო ბედენაძე? ისაა გრძნობებიერი ახალგაზრდა, უმიზეზოდ დასჯილი, უმწეო, უპატრონო და იდეალებით გატაცებული. მას სწყურია სწავლა, სწყურია ბოროტებასთან ბრძოლა, მაგრამ ჯერ მხოლოდ ოცნებობს, ჰკითხულობს წიგნებს, სცხოვრობს გაკვეთილებით და გახვეულია იდეალების ბურანში. იგი ნორჩია, მას ჯერ არ ესმის ცხოვრება. მაშ, გავეცნოთ ილოს, უფრო დამწიფებულს, ილოს, დაუდეგარ ტიმოთედ ქცეულს.

2) «დაუდეგარი». ამ მოთხრობას ყველაზედ მაღლა დავაყენებდი ეკალაძის მთელს კრებულში, რომ ფორმა ეხამებოდეს მშვენიერ შინაარსს და, მეტადრე, რომ ასე გაჭიანურებული არ იყოს მისი მეორე ნახევარი. მიუხედავად ამისა, მაინც შესანიშნავია ეს მოთხრობა თავის სიწრფელით და სინამდვილით. აქ თითქო ავტორის თავგადასავალია, ავტორის გულის სიღრმიდგან ამოხეთქილი. ეს მოთხრობაც არაა, იგი მხოლოდ წერილია მეგობართან, სადათ დაწერილი, მაგრამ ყოველი სიტყვა და სტრიქონი ჰბგერს სიმართლეს და ცხოვრების სინამდვილეს.

ვინაა დაუდეგარი ტიმოთე? ისაა იგივე ილიკო ბედენაძე, სკოლიდან გამორიცხული, უპატენტო, სწავლის მოსურნე, მებრძოლი და სიმართლის მაძიებელი, მაგრამ უფრო დავაჟკაცებული და ცხოვრების ჯინჭარით დასუსხული. ტიმოთეს უშოვია რაღაც სამსახური, მაგრამ მოსვლია უფროსთან შეტაკება და დაუთხოვიათ. იგი ბრუნდება სოფლად და აკვდება წიგნებს. აქ არ ასვენებს მას ქვრივი დედა, ეჩხუბება შვილს თითქმის ყოველ დღე, ლანძღავს და ძალა-უნებურად აპოვნინებს ახალ სამსახურს. ტიმოთე მიჰყავს გადამწერად ვიღაც მდიდარ მოურავს, მაგრამ ვერც იქ რჩება დიდ ხანს დაუდეგარი ახალგაზრდა. მისი მართლ-მოყვარე გული ვერ იტანს ძალმომრეობის ცქერას და ჰხდება მსხვერპლად. ის სტოვებს სამსახურს და მიდის ისევ სოფლად. აქ თავდება წერილი. ჩვენ არ ვიცით, თუ რა მოუვიდა შემდეგ ტიოთეს; რა ხაზი გაავლო მან ცხოვრებას, მიაღწია მიზანს თუ არა; გაექელვინა ცხოვრებას თუ გამოვიდა გამარჯვებული. ავტორს აუღია თავისის გმირის მხოლოდ ერთი ხანა. ბ-ნ ეკალაძეს ვერ შეუქმნია აქამდე დამთავრებული ტიპი. ილიკოში მან გაგვაცნო ამ ტიპის პირველი ხანა, ტიმოთეში მეორე და გენოში მესამე. საჭიროა შევჩერდეთ ისევ ტიმოთეზე, დავახასიათოთ იგი და ამოვწეროთ ზოგიერთი ალაგები.

ტიმოთეს გაუშლია წიგნი და კითხულობს ხის ქვეშ, მოლაზე. თავს ადგია დედა და ეჩხუბება:

— «ბიჭო, შვილო, მაგოდენა კაცი გამიზდიხარ, მიწვავს, მიდაგნია, ღეჩაქის ყურით გამომიკვებიხარ, როგორც იყო სამსახური იშოვე და ღვთისგან მოცემული ერთი ლუკმა პური გაგვიჩნდა. რა გინდოდა, რაზე დამისხი ცეცხლზე წყალი, რატომ არ დააყენე ეგ შენი წანკლიანი ენა, რომ აბრაგანი ამოგკრეს და დღეს მშიერი ვართ. აი, ხვალ ბზობაა და ჩვენ დაობებული პურით უნდა მივეგებოთ ამ დღესასწაულს? ერთი გირვანქა თევზის ფასი მაინც გვქონდეს, რომ ხვალ გავიხსნილოთ!... ქრისტიანი არა ხარ? ღმერთი არა გწამს?! ეს ხომ ყველა შენი ბრალია?!..

ტიმოთე ჩუმათ იწვა და უგდებდა ყურს დედის ყვედრებას. ვინ იცის, რა სულიერი ტანჯვა ისახოდა იმ დროს მის არსებაში! აქ ღარიბი ოჯახი, სარჩენი დედა და ამ დროს უსაქმოთ, უგროშოთ, სამსახურიდან დათხოვნილი... მერე რისთვის? იმიტომ, რომ დარჩა ადამიანათ, არ გადიქცა მონათ, მლიქვნელათ და უენო მანქანათ. მოხუც დედას განა ესმის ის საშინელი ტრაგიზმი, ის ტანჯვა, რაც ბობოქრობს შვილის გულში? მას სურს მხოლოთ, რომ ტიმოთემ იშოვოს სამსახური და მოიტანოს ფული, მაგრამ თუ შვილს იქ მოელის დამცირება და სულიერი დახშობა, ეს მისთვის გაუგება-

*) იხ. «ივერია», № 250.

შესამჩნევად იმატა შრომის მძებნელმა ქართველმა ელემენტმა, მაგრამ აქეთკენ არსებულ ვითარების გამო, ჩვენი თანამემამულენი იძულებულნი არიან, ეკონომიურ გარემოებათა გარდა, ებრძოლონ ტომობრივ განკერძოება-შენ-ჩემობასაც და უმრავლეს შემთხვევაში იჩაგრებიან, ირიყებიან, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, აქაური ინდუსტრია მთლად უცხო ტომთა ხელშია. ამ გარემოებამ სურვილი აღუძრა ზოგიერთ გულშემატკივართ, რომელთაც ჯერ სრულიად არ ჩაუყურყუმელავიათ საკუთარ «მე»-ს მორევში, დაეარსებინათ «ქართველთა ურთიერთ შორის დამხმარებელი საზოგადოება». მისი დანიშნულება იქმნებოდა თვის წევრთათვის გაეწია დახმარება: ნივთიერი, გონებრივი და ზნეობრივი.

ამ კეთილის აზრის განსახორციელებლად, შარშან ბალახანაში ადგილობრივი ქართველობა რამდენჯერმე შეიყარა და შეიმუშავეს პროექტი განზრახულ საზოგადოების წესდებისა. საჭირო იყო თავიანთ თავისთვის თვითვე ეპატრონათ და ცდილიყვნენ, ეს პროექტი მთავრობას დაემტკიცებინა. მაგრამ ზოგიერთთა რჩევით, პროექტი გადასცეს უკეთესად შესამუშავებლად და აგრედვე დახმარების სათხოვნელად ბაქოს რამდენსამე «ბალიადას».

თუმცა წინად გამართულ ყრილობაზედ ყველა ინტერესით ესწრებოდა და მოუთმენლად ელოდა საზოგადოების დაარსებას, მაგრამ, როცა ეს საქმეც «საოპეკუნო» გახდა და «უმაღლეს ინსტანციას» გადაეცა, ბევრი დაღონდა და უიმედოდ ხელი ჩაიქნია.

მათი ეჭვი უსაფუძვლო არ გამოდგა: ჯერ ერთი, რომ ეს საქმე აქნობამდე უძრავად ეგდო და ოკდომბრის 9-ს კი გაუმართავთ «თვისთა შორის საღამო», რომელზედაც გადაუწყვეტიათ დააარსონ «საქველ-მოქმედო საზოგადოება»,—ურთი-ერთ დამხმარებელ საზოგადოების მაგიერი.

რა თქმა უნდა, სულ არარაობას, სურვილი «საქველ-მოქმედო საზ.»-ს დაარსებისა სრულ უენერგიობას, უმოძრაობას მაინც არ მოასწავებს და არა მცირედის სარგებლობის მოტანაც შეუძლია, უკეთუ ამ საზოგადოების დამაარსებლებმაც და განსაზღვრულ წევრთაც დაარსებისთანავე არ მიიძინეს, მაგრამ მაინც ამ ორ სხვა და სხვა გვარ საზოგადოებათა შორის დიდი განსხვავებაა. რომ დაწვრილებით დახასიათებას არ შევუდგეთ და არც გავიხსენოთ ბედი ჩვენებურ საქველმოქმედო საზოგადოებათა,—როცა სიმპატიურ წ. კ. საზოგადოების წლიური ექვსი მანეთიც ვერ შეგვაქვს პირ-ნათლად,—ვიტყვით მხოლოდ ორიოდე სიტყვას შარშან განზრახულ «ქართ. ურთიერთ დამხმ. საზოგადოების» შესახებ. ამ გვარ საზოგადოების დაარსებას უმრავლესობა იყო მოწადინებული და აი რატომ: ამ საზოგადოებაში ჩაწერილ წევრს უსათუოდ უნდა შემოეტანა განსაზღვრული ყოველთვიური გადასახადი (%) ჯამაგირის (ან შემოსავლის) მიხედვით. ეს ფული შემომტანს არ ეკარგებოდა და, იმას გარდა, რომ გაჭირვების დროს ყოველთვის შეეძლო სესხით ხელი გაემართნა, როგორც თვითონ, აგრედვე გაჭირვებულ უსაღსრო თანამოძმეს,—ამასთანავე მშვენიერი შემთხვევა ეძლეოდა თვის და შეუმჩნევლად ცოტა რამ შეეგროვებინა „შავ-დღის-ათვისაც“; განზრახული იყო, რომ, უკეთუ რომელიმე წევრი ამ საზოგადოებისა მოისურვებდა ბაქოდგან უკან, სახლისკენ, დაბრუნებას, მის მიერ შემოტანილი ფული სარგებლითურთ უკანვე უბრუნდებოდა. მერე კიდევ: უკეთუ ვინმე ახლად ჩამოსულთაგანი საჭიროებდა რაიმე დახმარებას, ეს დახმარება მოწყალებასავით კი არ უნდა მისცემოდა, რაიცა უნდა ჰლახავდეს და ზნეობრივად ხრწნიდეს ადამიანის თავმოყვარეობას, ვისაც კი შრომა შეუძლიან,—არამედ ეს დახმარება (ნამდვილ წევრთა თავდებობით) ეძლეოდა დროებით, ვიდრე ახლად ჩამოსული სამუშაოს იშოვნიდა (საზოგადოებასაც უნდა ეზრუნა ამისათვის) და შეძლება ექმნებოდა აღებული ფული უკანვე დაებრუნებინა.

ერთი უპირატესობა-ურთიერთ დამხმარე საზოგადოებისა» «საქველ-მოქმედოსთან» კიდევ ის იყო, რომ ყველა წევრი პირველ საზოგადოებისა თანასწორ უფლებით უნდა ყოფილიყო მოსილი და უმთავრესად ეს იუკადრისეს ზოგიერთმა ბაქოელმა «მანდარინებმა», და მართლაც, იმათ საერთო რა უნდა ჰქონოდათ ვიღაც უბრალო მუშა, ჩიხო-მახო მოხელეებთან და «პოვარ-ლაქიებთან»!..

რაც შეეხება ბაქოს ყრილობა-საღამოებს, აქ, როგორც თვითონვე სთქვეს, იმათთვის უფრო საინტერესოა და მიმზიდველი ამ საღამოების მეორე განყოფილება, როცა აუცილებლად ვახშმისათვის სუფრა გაიშლება ხოლმე და «კეკ-ვუოკით» თავდება. მახლას!..

გ. ახალციხელი.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

«პეტერბურგის ვედომოსტი»-ს ამ წლის მე-283 ნომერში მოთავსებულია წერილი, რომელსაც სათაურად აქვს: «На очереди». ამ წერილის ავტორი, სხვათა შორის, ამბობს:

„სამწუხაროა რუსული ბეჭვდითის სიტყვის ახლანდელი მდგომარეობა. მაგრამ უფრო სამწუხაროა ამ მხრით იმ ერთა მდგომარეობა, რომელნიც ისტორიულ ცხოვრების მსვლელობის მეოხებით ჩაეწვნენ რუსეთის სახელმწიფოს სხეულში. რუსეთის დიდის ოჯახის უმცროს წევრების ბედი აუცილებელია: ისინი შეესისხლ-ხორცებიან უფროსს ძმებს, დადნებიან უმთავრესს სლავიანურს ნაკადულში.

მაგრამ ზოგიერთნი საჭიროდ სთვლიდნენ ამ შესისხლ-ხორცების, ამ გადადნობის ხანის ადრე დადგომას და ამის გამო აწუხებდნენ და შეურაცხჰყოფდნენ სხვა-და-სხვა ერებსა. ამის მეოხებით დიდად აბრკოლებდნენ ჩვენთან მეგობრობით შეერთებულთ, მაგრამ სხვა ენაზე მოსაუბრე ერების მშობლიურს ენას და ჩვეულებათა. მეტად ხელს უშლიდნენ ამ ერების ბუნებრივს სურვილს, ჰქონოდათ თავიანთს მშობლიურს ენებზე დროგამოშვებითნი გამოცემანი. მაგრამ ამ ბოლოს დროს სამწუხარო გაუგებრობას ბოლო ედება. ამას წინად ნება-დართულ იქმნა ლიტვურს ენაზე გაზეთის გამოცემა. იწერებიან, რომ კიევში სურთ აღძრან შუამდგომლობა უკრაინულს (მცირე რუსთა) ენაზე ყოველ კვირეულ ჟურნალის გამოცემის შესახებ «Bik»-ის სახელით. სამარის გუბერნიაში აღძრეს შუამდგომლობა ამავე ენაზე ყოველდღიურის გაზეთის გამოცემის შესახებ. მოსალოდნელია, ეს შუამდგომლობანი შეიწყნარონ. ეს პირველი მერცხლებია, — რომელნიც მხნედ გამოთქრინდნენ გაზაფხულის შესახვედრად. ნეტა, ნუ შეხვდებიან გამყინავს და გამთოშავს ქარსა. მალოროსსია (მცირე რუსეთი) ჩვენი დვიძლი, ერთ სისხლოსანი ძმაა, მაგრამ ის ცხოვრობდა მოძულებულის გერის მწარე სვე-ბედით. ის ერი, რომელმაც მოგვცა გოგოლი და შევჩენკო და რომელსაც აქვს მეტად რბილი და მდიდარი ენა, იძულებული იყო ეცქირნა სიმწუხარით, თუ როგორ სჭკნებოდა მშობლიური მწერლობა. რისთვის და ვისთვის იყო საჭირო ამ მშვენიერის ენის სიკვდილი?! მალოროსიული ენა პატარა ტოტია ზოგად რუსულის ენისა. ის რუსულს ენას გაამდიდრებს სულ სხვა გვარის ეროვნულის სიმშვენიერით. ბოლოს თვით ეს ენა შეუსისხლხორცდება მდიდარს რუსულს ენას, რომელსაც არ უნდა ეშინოდეს მალოროსიულის ენის მეტოქეობისა».

ჩვენ არ შეგვიძლიან არ დავეთანხმოთ ამ წერილის დედა-აზრს. ყოველს ერს უფლება აქვს ჰქონდეს თავისს მშობლიურს ენაზე მწერლობა, მწიგნობრობა. თითოეულს ერს შეუძლიან კაცობრიობის საერთო სალაროში თავისებური წვლილი შეიტანოს,—უკეთუ მისს ეროვნულს განვითარებას წინ არა ეღობება-რა. დედამიწაზე სხვა და სხვაობა ერებისა იქნება სამუდამოდ. შესაძლო არაა, რომ მთელი კაცობრიობა ერთს ენაზე მოაზრე ერად გადაიქცეს და ან სოფლად რამდენიმე დიდი, მძლავრი ერი ცხოვრობდეს. მსოფლიო ჰარმონიისათვის ფრიად საჭიროა სხვა და სხვაობა. ამ სხვა და სხვაობაში — ერთობა და ერთობაში—სხვა და სხვაობა—აი, თვით ესტეტიკის მოძღვრების დედა აზრი. არც ერთს ერს არავინ არ უნდა ეღობებოდეს წინ ეროვნულ განვითარების საქმეში, რადგან

„ქვეყნად გაჩენილს ყოველს ერს
სიცოცხლისა აქვს უფლება!“

თვის მშობლიურს ენაზე განვითარებული ერი შეუსისხლხორცდება თუარა სახელმწიფოს უმთავრესს ერსა, ჩაეწვეთება თუ არა სახელმწიფოს სხეულში, გადაგვარდება თუ არა იმიტომ, რომ თვისი თავისებურობა, თვისი სიმშვენიერე სხვას შესძინოს, სხვას უმსხვერპლოს,—ეს მომავლის გამოურკვეველი საკითხია და წინდაწინ ასე თუ ისე ამის გადაწყვეტა შეუძლებელია. ზემოდ მოყვანილის წერილის ავტორი კი პირდაპირ, გადაჭრით ამბობს, რომ სხვა და სხვა ერები გადაგვარდებიანო და დადნებიან უმთავრესს სლავიანურს ნაკადულშიო. თუ ეს ასეა, მაშ რაც მალე მოხდება ეს ამბავი, მით უფრო ხელსაყრელია სხვა-და-სხვა ერებისათვის. ამის გამო ის, ვინც აბრკოლებს რომელისამე ერის ეროვნულს განვითარებას, ამ ერს სიკეთეს უშვრება, რადგან გადაგვარების ხანას აახლოებს. მაშ გვიკვირს, რაღად იცხელებს თავს წერილის ავტორი სხვა-და-სხვა ერებისთვის?! მოწყალების ბოძება იმ ერისთვის, რომელიც ახლო მომავალში სასიკვდილო და განწირულია, იმას ემსგავსება, რომ მომაკვდავს შებრალების გამო წამალი ასვა და კაი სასმელ-საჭმელიც მიართვა, რომ ამით სიკვდილის წინ მისი გული მოიგო და მადლობა ათქმევინო.

# თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა აფხაზეთში. ვ. რ. მაქსიმოვის მემკვიდრეთა ქარხნების თეატრში, სოფ. აძიუჟაში (აფხაზეთი, კოდორის ნაწილი) 24 ოკდომბერს, აქაურ მსახურთა და მუშათა სცენის მოყვარეებმა გამართეს რუსულ-ქართული შინაური ფასიანი წარმოდგენა. წარმოდგენა გაიმართა ამავე თეატრის სხვა და სხვა საჭირო ნივთთა შესაძენად.

ქართულად წარმოდგენილ იქმნა «ბაიყუში», ა. ცაგარლისა.

საერთოდ წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა და ყველა არტისტკებმა და არტისტებმა თავიანთი დანიშნულება გაამართლეს საერთო ანსამბლის დაცვით.

მხოლოდ განსაკუთრებით აღვნიშნავთ, რომ ქ-ნ ელისაბედ გრიგოლის ასულ ნინუასა და ვარო გრიგოლ სტურუას ასულის მშვენიერმა თამაშობამ მოხიბლა დამსწრე საზოგადოება. ამ ნაზ არსებათა წარმომადგენლების თავიანთ როლის აღსრულების შემდეგ თეატრში საზოგადო ტაშის ცემა და ვაშას ძახილი დიდხანს გაისმოდა და დამსწრე ხალხი დიდად ნასიამოვნები დარჩა მათის მომხიბლავ თამაშობით.

შემდეგ წარმოდგენისა გაიმართა ცეკვა-თამაში ბ-ნ ერისტო ბეჟანის ძის ნინუას (ცეკვის მასწავლებელია) დირიჟორობით, რომელმაც გასტანა ღამის ორ საათამდე.

ა. ტ.

## „ივერიის ფოსტა“

ო—ს. დ. ძ—შს. თქვენი წერილი, ამ ბოლოს ხანს გამოგზავნილი, არ დაიბეჭდება.

ხ—ი. ი. ბ—ს. თქვენი წერილი დაიბეჭდება იმ კვირია.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

## დილის დეპეშები.

1 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომლესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მის იმპერატორებითის უმაღლესობის სახელზე: 1) 30 ოკდომბრის თარიღით: «29 ოკდომბერს, გათენების წინ, მსურველთა რაზმმა, პორუჩიკ ვოდეცკის უფროსობით, დაზვერა მტრის სადგომის არემარე სოფელ ხუანშიცანისაკენ, ბიანპუძიდან ორ ვერსზე აღმოსავლეთად. ამ ამ სოფელში შეხვდათ 8 დრაგუნი იაპონელთა, რომელნიც გაიქცნენ. ხუანშიცანიდან სამხრეთ-აღმოსავლეთად ამ რაზმმავე ნახა ორი წყობა თხრილებისა, რომელიც მტრის ერთს როტას ეჭირა. პორუჩიკმა ვოდეცკიმ ჯერ მოამზადა რაზმი საიერიშოდ, მერე ერთი ნაწილი გვერდიდან შემოავლო, მტერი გამოდევნა თხრილებიდან და თვით დაიჭირა. მტრის უმთავრეს პოზიციაში ალიაქოთი მოხდა და ერთი ბატალიონი გამოეშურა თხრილებისკენ. მსურველთა რაზმმა დააყარა ტყვია იაპონელთა მოწინავე როტებს, რომელთაც პირი უკან ჰქნეს; თან მიჰქონდათ დაჭრილ-დახოცილნი; ორმა როტამ კი გორაკიდან შემოუარა. მსურველთა რაზმმა უკან დაიწია თავის პოზიციისკენ და თან წამოიყვანა ერთი მძიმედ დაჭრილი, ოთხი მსუბუქად და ერთიც მოკლული. 30 ოკდომბერს ორთავ მხრივ არტილერიის ბრძოლა იყო. მტერთან შეტაკებაზე ჯერ მოხსენება არ მოგვსვლია». 2) 31 ოკდომბრის თარიღით: «31 ოკდომბერს ღამემ წყნარად ჩაიარა. ბრძოლის შესახებ ამბავი არ მოგვსვლია».

**ირკუტსკი.** წავიდა პეტერბურგს წითელ ჯვრის რწმუნებული თავადი ვასილჩიკოვი.

**უმთავრესი ბანაკი კუროპატკინისა.** (რეიტერი). ყოველ დღე ხშირად უხდებათ შებრძოლება სადარაჯო სადგურებსა. რუსები დიდრონის ზარბაზნებით ესვრიან იაპონელებს შიგ სანგრებში და მოსვენებას არ აძლევენ მათ. დიდძალი აფიცრობა მოდის ნაკლის შესავსებლად. ლაშქარი ეხლა უფრო მეტად გრძნობს, ვინემ ადრე, იმ მოვალეობას, რომელიც იმას წილად ხვდა. ლაშქარს დიდი იმედი აქვს ბალტიის ესკადრისა. ამ ჟამად საზრდოობა ჯარისა უკეთ სწარმოებს, ვინემ ამ ომიანობის სხვა დროსა. გზები კარგია.

**კოპენჰაგენი,** 1 ნოემბერი. რუსის კრეისერმა «ყუბან»-მა დიდი ბელტა გაიარა და საჩრდილოეთად გაემართა.

**მოსკოვი.** 1 ნოემბერს მოსკოვზე გაატარეს ოცი ტყვე იაპონელი აფიცერი, კორეველნი და ჩინელნი ჯაშუშნი. ტყვეებში ერთი ქალია იაპონელი და აფიცერი დაღუპულის ტრანსპორტისა «იძუმარუ»-სი, რომელზედაც იმან დასწვა გემის ქაღალდები, ხელები დაიწვა და ვლადივოსტოკში ექიმობდა. კორეველებში ურევია გენერალ მიშჩენკოს რაზმში მყოფი თარჯი-

რია და არც გასამტყუნარია ამაში ღარიბი და უმეცარი მოხუცი, რომელსაც ესმის მხოლოთ ხორციელი ცხოვრება.

— «აბა, რა უყავ, შე უკეთურო, შენი კაკარდიანი ქუდი? მერე როგორ გიხდებოდა! შენ რომ იმას დაიხურავდი, ასე მეგონა ჩემის პირმშოსთვის ხელმწიფობა მიუციათ მეთქი. ვაი, ვაი, დადეგ თვალო და ყურო, რა უბედურება დამემართა, გენაცვალეთ! ქვეყანა შამომნატროდა: შენი შვილი თუ ნაჩალიკობას არა, პრისტაობას მაინც მიიღებსო და დახეთ, ანაზდეულათ არ გამიქრა კერაში ცეცხლი! მოულოდნელათ არ გადმოვარდა შვილი ხელმწიფის ტახტიდან, თქვენი ჭირიმე!»

ტიმოთე ისევ გაჩუმებული იყო. დედა მისი თან და თან უმატებდა ხმას:

— ბიჭობა ის კი არ არის, ხალხს რომ ემალები და მთელი დღე ჩაღირღიტებ მაგ ვერანა წიგნებს!—აი კიდეც მაგათ აგირიეს ეგ ტვინი, მაგ კუდიანების დაწერილებმა!..

— რას მეჩხუბები! რა ვქნა, დედაჩემო, ერთი მითხარი!

— რაც გინდა ქენი, მე კი მაცხოვრე.

— ხომ იცი, რა ბრძანა ქრისტემ: «მცირესა ზედან კმაყოფილ იყავ, რათა მრავალსა ზედან დაგადგინოს უფალმან», და კიდევ,—«არა მარტო პურითა ცოცხალ არს კაციო».

— იქით დამეკარგე! შენ თუ სახარების სიტყვების მიმდევარი ყოფილიყავ, არც ის დაგავიწყდებოდა, რომ უფროსის მორჩილი უნდა იყო, დედას პატივი უნდა სცე... მაგრამ შენ რომ პატივსა მცემდე, ვიღაც ოხრების გულისათვის შენს უფროსს, ჩვენს მაცხოვრებელს, კი არ გალანძღავდი... ნუ თუ გგონია, შე უბედურო, პირში რომ არას გეუბნებიან, მადლიერი გყავს ვინმე?! ქვეყანა ღიდღიდანაა, ქვეყანა შენ დაგცინის, შენ კი გაიძახი: არა მარტო პურითა ცოცხალ არს კაციო! აი, მეხი კი დაგაყარე! დღეს რა გნებავს სადილათა, ყაბლუ ფლავი თუ ბოზბაში? მოგიგდებ ე' დაობებულ პურსა და თავში ქვა იეცი... არა, არა, მეტი აღარ შემიძლიან. როგორც სხვა ასი და ათასი მსახურებს და წელში იღუნება, შენც ისე მოიქეცი, თორემ წმინდა თევდორე ტირონელს გეფიცები, ერთ დღეს ქვეყანას თავზე დაგახევ და საჯაროდ შენს დედაშვილობაზე ხელს ავიღებ. ხომ არ გინდა ციხეში გამოგალპობინო, კუდი რომ ათასგან გიდევს!.. მე დედა ვარ და უფლება მაქვს ჩემი საცხოვრებელი მოგთხოვო!..—გაცეცხლებით გაათავა დედამ და თოფნაკრავივით გაბრუნდა.

რას უპასუხებს ტიმოთე? არაფერს. ის მხოლოდ იტანჯება ჩუმათ.—ან რა უნდა მეთქვაო, სწერს იგი მეგობრებს, როცა იმ კვირაში სანათიც კი არ გვქონდა, არამც თუ საჭმელიო.—რამდენჯერ დამინახავს რუს პირას ჩამომჯდარი მოხუცი დედაჩემი, როგორ ალბობდა ხოლმე დაობებულ პურს, ჭამდა და თან მდუღარებას აფრქვევდა. ოჰ, როგორ ვიტანჯებოდი მაშინ! რა ბოღმით და ცეცხლით მევსებოდა გული!... ეჰ, ჩემო ტროფიმე (მეგობრის სახელია), ვისაც ამ გვარი ამბები არ გადახედია ან არ დაკვირვებია ჩვენის ხალხის დახავსებადაჩიავებას, შეიძლება იმას სასაცილოთაც არ ეყოს ჩემი ნაამბობი და «ესტეტიურათ» ვერ დაატბოს, მაგრამ მე კი... ოჰ, ნეტა შემეძლოს თითოეულის გულში ავაპრიალო ის ცეცხლი, რომელიც იმ დროს გულზე მეკიდა და რომელსაც ბოროტ-დამჩაგვრელთადმი შურის ძიება ჰქვიან»!..

აი, რა მწვავე სიტყვები ესმის ყოველ დღე საბრალო ტიმოთეს! აი რა ცეცხლი და ვარამი აქვს გაჩენილი თავის ღარიბ სახლში! ესაა სრული სინამდვილე! ამისთანა სურათები არა ერთი და ორი მინახავს ჩვენს ქვეყანაში. ყმაწვილ კაცს სწყურია სწავლა, კეთილი საქმე, ბოროტებასთან ბრძოლა, სურს დარჩეს ადამიანათ, არ დაემონოს არავის, არ იქცეს მანქანათ; ის მზათაა დასჯერდეს მცირეს, იცხოვროს ხმელა პურით; მაგრამ ის არაა მარტო, მას აწევს ტვირთი, მოხუცი დედა, რომელსაც სურს მხოლოთ კარგი სმა-ჭამა და ამიტომ თავის შვილის ყოფნა სამსახურში. კარგი ჩინი და ორდენი მისი იდეალია. რამდენი ნიჭიერი, პატიოსანი დ მცოდნე კაცია ჩვენში ამ გვარ გაჭირვებაში, უსაქმოთ და ულუკმაპუროთ დარჩენილი, რომელთაც სულს უწამლევენ შინაურნი დ დასცინიან გარეშენი!... რათ ვერ იშოვეს ამ კაცებმა საქმე? იმიტომ, რომ პირველი—ქართველები არიან, მეორე—უდიპლომონი, მესამე—არ არიან ლაქუცა და პირმოთნენი, მეოთხე—უყვართ პირში თქმა, სძაგთ უსამართლობა და სურთ ადამიანათ დარჩენა. ამისთანა კაცები არ უყვართ დიდ ბატონებს, არ უყვარს საზოგადოებას, არ უყვარს არავის! ამისთანა კაცებს არა აქვთ ალაგი ჩვენს წამხდარ, დახავსებულ წრეში. იმათი მისაცემი ადგილები უკავიათ ყოვლად უნიჭოთ, უმეცართ, ფლიდთ, უსაქმურთა და გაიძვერა არსებათ, რომელთა სანატროც მხოლოთ ხალხის ყვლეფა და მოტყუება, ქრთამები, ბევრი ფული, ბანქო, ქეიფი და ლამაზი ქალებია. და როცა ის ნიჭიერნი პირნი ჩაფლულან სიღარიბეში და საზრდოობენ დაობებულ პურით, იმ დროს ეს ფლიდნი და უმეცარნი არსებანი მიირთმევენ ყოველ დღე 5—6 ნაირ საჭმელს და სუფთად, მოდაზე ჩაცმულნი უსხედან მწვანე მაგიდას, ან ეარშიყებიან ტურფა ფერიებს...

მიუქცევია ამ მოვლენისთვის ყურადღება ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ინტელიგენციას და ჯიბე სქელ მოღვაწეებს?! იმ მოღვაწეებს, რომელთაც სხვა-და-სხვა ხრიკებით ხელთ უგდიათ საზოგადო საქმენი და უხშობენ გზას ნიჭიერ ახალგაზდებს?! დიაღ, მიუქცევიათ ყურადღება ამ საშინელ დრამისთვის, რომელიც ხდება მათ თვალ-წინ? თუ აგრეა, მაშ, სადაა სინიდისი, გრძნობა და მოვალეობა?! სადაა კეთილ-გონიერება და ხალხის სამსახური?! რათ ჰლუპავენ ამ ნიჭიერ კაცთ?! რათ აცლიან საზოგადო საქმეებს მშრომელთ, მცოდნეთ და პატიოსან ახალგაზდებს?! რათ იღებენ მათ ნაცვლათ ხშირათ ქალების პროტექციებით, უნიჭოებს, უსაქმურთ და მავნე პირთ?! რათ?!...., იმიტომ, რომ ჩვენს წამხდარს დროში ფასი არ ადევს სიწრფელეს და პატიოსნებას, ცოდნას და შრომას, ნიჭსა და მხნეობას; ერიდებიან ფხიზელ სულს და პირში მთქმელ ადამიანს, რადგან ეშინიანთ ცოდვების გამხელისა. ამ გვარ პირთ ნათლავენ დაუდეგრათ და საშიშრათ. ამ გვარ პირთ არ აქვთ ალაგი თანამედროვე ცხოვრებაში და მის ტრაპეზზედ. რათა? იმიტომ, რომ ამ ზნედაცემულ დროში გამეფებულა მხოლოთ და მხოლოთ ბოროტება, ძალმომრეობა და უგულობა! აქ ფასი ადევს მხოლოთ დიპლომს, სიყალბეს, მონობას და მლიქვნელობას!...,

სვიმონ ქვარიანი.

(შემდეგი იქნება)

მანი რუსის ქვეშევრდომი და მართლმადიდებელი; ჩინელებში ურევია თარჯიმანი რკინის გზის შანჰაიგუანის სახელოსნოებისა, რომელიც ომამდე მსახურობდა ინჟენერ ბრანევსკისთან, შემდეგ კი მუკდენში.

**პარიჟი.** (ჰავასი) ქალბატონმა ნელიდოვისამ ადმირალი როჟესტვენსკისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: «მშვენიერი მცურავი საავადმყოფო «ორიოლი» შეუერთდა ესკადრას. 12 ათასის რუსთა გული აღტაცებულია და უგზავნის ჩემთან ერთად მხურვალე მადლობას დიადს საფრანგეთსა».

**ბადენ-ბადენი.** ქალაქის საბჭოს დადგენილებით, შილლერ-შტრასსეს სახლს უნდა მიაკრან დაფა წარწერით: «ამ სახლში ცხოვრობდა ტურგენიევი 1863 წლიდან 1868 წლამდე».

**ხარკოვი.** საერო განათლების მინისტრმა დაათვალიერა სასწავლებლები. მინისტრის ყოფნას ის შედეგი მოჰყვება, რომ ერთს რეალურს სასწავლებელს კიდევ დააფუძნებენ.

### საღამოს დეპეშები.

2 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** გენ.-მაიორს მარტსონს ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა და დაინიშნა მანჯურიის მესამე ლაშქრის სამხედრო შტაბის უფროსად; გენ.-მაიორი ალექსეევი დაინიშნა ამავე ლაშქრის გენერალ-კვარტმეისტრად.

**ბელგრადი.** სკუპჩინა შეიკრიბა პარაკლისის გადახდის შემდეგ. არჩეულ იქმნა თავ-მჯდომარედ სტანოვიჩი, ხოლო ნიკოლიჩი და პეტროდანოვიჩი თავ-მჯდომარის ამხანაგად. ოთხშაბათს დაიწყება კრება. მეფე წარმოსთქვამს სეფე-სიტყვას.

**ათინა.** მეფე დაბრუნდა.

**რომი.** პაპი სწუხს ომისათვის შორეულ აღმოსავლეთში. მან ბრძანა, ვევედრები ღმერთს, რომ მალე გათავდეს ეგ სისხლის ღვრაო.

**ერევანი.** ქალაქის უმთავრეს ქუჩაზედ, სადაც აუარებელი ხალხი მიდი-მოდიოდა ორმა ბოროტ-განმზრახველმა მოკლა ხანჯლით ორი აქაური კომერსანტი რომან ედელსონი და მისი ცოლი. ერთი ბოროტ-მოქმედი შეპყრობილ იქმნა და აღმოჩნდა, რომ სომეხი იყო.

**ლონდონი.** იაპონიის ახალის ექსპროცენტიანის სესხის საქმე წარმატებით მიდის. მცოდნენი ჰგონებენ, რომ ეგ საქმე უკვე უზრუნველია და გათავებულიო.

**დაძიაპუს,** (რეიტ.) 1 ნოემბერს სკრიდლოვმა ნახა ბარონი მეიენდორფი და დაათვალიერა პირველ არმეისკი კორპუსის ჯარები. პოზიციებზედ სრული სიწყნარეა. თითქმის მოწყენილია, რაკი ზარბაზნების გრიალი აღარ ისმის.

**ლონდონი.** 2 ნოემბერს (რეიტ.). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იწერება დეპეშით. რომ 17 ოკდომბერს იაპონელებმა საერთო იერიში მიიტანეს იყო პორტ-არტურზეო. იერიში მიმართული აღმოსავლეთის სიმაგრეთა წინაამდეგ. იერიშის მიმტანთ მიაღწიეს უმთავრეს კოშკების თხრილებს. თხრილები უფრო ღრმა იყო და განიერი, ვიდრე ეგონათ. თვითონ კოშკებიც უფრო მაგარი იყო, ვიდრე იაპონელნი ჰგონებდნენ. მედგარის ბრძოლის შემდეგ ხვრელ-გვირაბებში. იაპონელთ ხელთ იგდეს მიწის ქვეშ გაყვანილი სანაღმო მაღაროები ძინგუანშანის ჩრდილოეთად. რუსებმა ჯერ კიდევ მაინც შეინარჩუნეს ნაწილი ციხის შუბლისა. იაპონელებს გვირაბი გაჰყავთ მიწის ქვეშა და უნდათ ციხიდან გამოდევნონ რუსნი. ზარალი იაპონელებისა 1500 კაცი იქნება.

**მუკდენი,** 1 ნოემბერს. პოზიციებზე წინანდელებრ სიწყნარე და დუმილია. ზარბაზნების გრიალი მიყუჩდა. გუშინ საღამოს იაპონელებმა მრავლად დაამაგრეს ციხის სანგრევი ზარბაზნები. სკრიდლოვი მუკდენს დაბრუნდა პოზიციებიდგან.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

### გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

29 ოკდომბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,60 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . | 94,35 |
| ბერლინში „ . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში „ . . . . . . . | $37,52\frac{1}{2}$ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | $6—7\frac{1}{2}$% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | $91\frac{7}{8}$ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | $89\frac{1}{2}$ ნ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | $415\frac{3}{4}$ ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 318 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | $265\frac{3}{4}$ წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| $4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . | — |
| $4\frac{1}{2}$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

### საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო,**—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.**—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 15 ოკდომბრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

#### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს:** სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

#### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

#### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

### სია

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებლ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავადმყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

**ალადაშვილი,** ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

**გედალინი,** ალექსანდრე გიორგის ძე, 10 საათ.—$11\frac{1}{2}$ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ.—7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

**გეცელი,** ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

**ჯანიბეგოვი,** ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

**ელჩიევი,** მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

**ზაბლუდოვსკი,** იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—$11\frac{1}{2}$ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

**კასუმოვი,** ნიკოლოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—$11\frac{1}{2}$ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

**მირზაევი,** მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.—9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

**საათსაზოვი,** ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.

ალექსანდროვის ქუჩა № 6.

**თათევოსიანი,** ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 86 ს.—საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

**ხატისოვი,** ნიკოლოზ დავითისძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს.—6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში.

ბებუთოვის ქუჩა № 27.

**შახ-აზიზოვი,** არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი $7\frac{1}{2}$—$8\frac{1}{2}$ ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

**შჩერბინინა,** ანნა ივანეს ასული. დილით 10—12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 5—6 ს სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.


## განცხადებანი

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

**უცხო სიტყვათა ლექსიკონი**

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: **книжная торговля Іос. Зах. Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.**

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

**ნაწერები ს. მესხისა**

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

**სამკერვალო ქალთა ტანისამოსისა.**

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

**შესაკერად**

**ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ანა მერკვილაძისა.**

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

**ღალატი,**

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წინგნი დაეთმობა ორ აბაზად,

აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

**ქართული რუკა**

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

**ხუთი ახალი წიგნი**

წიგნის მაღაზია „**ცოდნა**“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 „ |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 „ |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 „ |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 „ |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: **Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.**

(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

**ვ**ისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდევით,** მარტო 4 მან. 90 კაპ., სააუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**“ ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: **Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.**

**განსაკუთრებითი ნაწარმოებია.**

(5—6—)



**სწორედ მუქთია,**



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან
მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მეშის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალი ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა ფულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუკი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 პრობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფილიპიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—3)


Дозволено цензурою Тифлисъ, 2 ноября, 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.